ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 140

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის კორპუს №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.03.032.001) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის კორპუს №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.03.032.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის №19.392.519 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

					დანართი №1
	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, კვარტალი 6, კორპუსი 19 (ს/კ 01.13.03.032.001)				
№	სახელი და გვარი	პირადი №	დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	მაია ტეფნაძე	01006008594	სართული 1	67.80 კვ.მ	01.13.03.032.001.01.509
2	ლაშა კიკნაძე	01006015492	სართული 1	129.19 კვ.მ	01.13.03.032.001.01.510
3	გიორგი გიგაშვილი	01006000559	სართული 1	63.01 კვ.მ	01.13.03.032.001.01.511